შ.პ.ს ,,მთის კურორტების განვითარების კომპანია”



დაბა ბაკურიანში, საბაგირო კაბინების სადგომის მშენებლობის სამუშოების შესყიდვის

სატენდერო დოკუმენტაცია

CPV-45200000

ქ. თბილისი

2017 წელი

სარჩევი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის 3

2. ტექნიკური დოკუმენტაცია 4

3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი 9

4. დანართი №1 აფიდავიტი 17

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – „სისტემა“) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“ შესაბამისად, ამავე წესის 40 მუხლით დადგენილი სამშენებლო სამუშაოების შესასყიდად გამოცხადებული ტენდერის ჩატარების განსხვავებული წესით.

1.2 ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანები ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ ტენდერში მონაწილე პირი უცხოეთის მოქალაქეა ან უცხოეთში რეგისტრირებული იურიდიული პირია აუცილებლობას წარმოადგენს წარმოდგენილი იქნეს პირის ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები რომლებიც დამოწმებული უნდა იქნას, ამისათვის უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ (საელჩო, საკონსულო და/ან სხვა ადმინისტრაციული ორგანო).

1.3 დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 პრეტენდენტის მიერ სატენდერო კომისიისათვის წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.5 სატენდერო პროცედურების განხორციელების ეტაპზე სუბკონტრაქტორ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში სატენდერო კომისიას უნდა წარედგინოს პრეტენდენტსა და სუბკონტრაქტორ(ებ)ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებ(ები)ა.

1.6 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.7 პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

2.1. შესყიდვის ობიექტი:

2.1.1. დაბა ბაკურიანში, საბაგირო კაბინების სადგომის მშენებლობის სამუშაოები დანართის სახით წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად (დანართი №2 - განფასების ცხრილი, დანართი №3 - სრული საპროექტო დოკუმენტაცია).

2.2. სატენდერო წინადადების ფასი:

2.2.1. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით, მათ შორის: ტრანსპორტირების ხარჯები, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადები, თუ მოსაკრებლები (მათ შორის - დღგ) და სხვა.

2.2.2. სატენდერო წინადადების საერთო და თითოეული ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში - ლარი.

2.2.3. მიმწოდებელს არ აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება;

2.3. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პირობები:

2.3.1. მშენებლობის პროცესში გამოყენებული ყველა მასალა-მოწყობილობა უნდა იყოს მაღალი ხარისხის და უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ ნორმებს, რაზეც შემსყიდველს უფლება აქვს, სურვილისამებრ მოითხოვოს საერთაშორისო სტანდარტის დამადასტურებელი სერთიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2.3.2. სამუშაოების შესრულების პროცესში გამოყენებული მასალებისა და მოწყობილობების ტიპი და ვიზუალურ-ტექნიკური მახასიათებლები (ხარისხი, ფაქტურა და სხვა) თანხმდება შემსყიდველთან. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მასალა ან მოწყობილობა ან შესრულებული სამუშაო არ შეესაბამება აღიარებულ სტანდარტებს და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს, მიმწოდებელი ვალდებულია თავისი ხარჯებით გამოასწოროს დაფიქსირებული ხარვეზი, წარმოადგინოს სხვა, შემსყიდველისთვის მისაღები მასალა, მოწყობილობა ან/და სხვაგვარად შეასრულოს სამუშაო.

2.3.3. პრეტენდენტმა უნდა განაფასოს ხარჯთაღიცხვით გათვალისწინებული ყველა პოზიცია. ნულით განფასებული ან განუფასებელი სამუშაოების ღირებულებას შემსყიდველი არ აანაზღაურებს. შემსყიდველი ჩათვლის, რომ მიმწოდებელი აღნიშნულ სამუშაოებს განახორციელებს სხვა სამუშაოების ხარჯზე.

2.3.4. პრეტენდენტმა განფასებისას, დარიცხვებში, უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილებით.

2.3.5. სამუშაოების სრული ჩამონათვალი და მოცულობა იხილეთ დანართი №2.

2.3.6. სპეციფიკაციები და ნახაზები წარმოდგენილია დანართი №3-ის სახით.

2.3.7. სამშენებლო სამუშაოები უნდა განხორციელდეს მშენებლობის უსაფრთხოების წესების მოთხოვნათა სრული დაცვით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და ნორმების გათვალისწინებით.

2.4. სამუშოს მიწოდების ვადები და პირობები:

2.4.1. მიმწოდებელმა 2.1.1 პუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები უნდა დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში და დაასრულოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 45(ორმოცდახუთი) კალენდარული დღის ვადაში.

2.4.2. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი სამუშაოს დასრულების საბოლოო ვადას გადააცილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საბოლოო ვადას, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,25%-ის ოდენობით; იმ შემთხვევაში თუ ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა გადააჭარბებს 10 კალენდარულ დღეს შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს ვადაგადაცილებული დღეების ჯარიმასთან ერთად დამატებით დააკისროს პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 5%-ს ოდენობით. ვადაგადაცილების გამო შემყიდველისათვის ან მესამე პირზე მიყენებულ ყველანაირ ზიანზე პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

2.5. მიღება-ჩაბარების წესი:

2.5.1. შესრულებული სამუშაოების შუალედური და საბოლოო მიღება-ჩაბარებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოუდგინოს შემსყიდველს ფორმა N2, ფარული სამუშაოების აქტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დადასტურებული შემსყიდველის წარმომადგენლის მიერ.

2.5.2. საბოლოო მიღება - ჩაბარება მოხდება სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს ან სხვა აკრედიტირებული პირის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე (რომლის ხარჯებსაც დაფარავს შემსყიდველი, მიმწოდებლის ბრალეულობით, ექსპერტიზის განმეორებით ჩატარების აუცილებლობის შემთხვევაში, ხარჯებს აანაზღაურებს მიმწოდებელი), რითაც დადასტურდება:

1. შესრულებულ სამუშაოთა მოცულობის რაოდენობრივი სიზუსტე;

2. შესრულებულ სამუშაოთა მოცულობების ხარჯთაღრიცხვის მოცულობებთან შესაბამისობა;

3. კონსტრუქციის სიმტკიცე.

2.6. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

2.6.1. შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენელი/ზედამხედველი განახორციელებს მიმდინარე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ხარისხის სისტემატურ კონტროლს შესაბამისი საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციისა და მოქმედი ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციიის საფუძველზე.

2.6.2. შესრულებულ სამუშაოზე უნდა ვრცელდებოდეს საგარანტიო პირობები შემდეგი მოთხოვნათა დაცვით: შესრულებული და გადმოცემული სამშენებლო სამუშაოების საგარანტიო პერიოდი უნდა შეადგენდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 2 (ორი) წელს. სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით, შემსყიდველის მიერ საბოლოო ანგარიშსწორებისას დაკავებული იქნება სახელშეკრულებო ღირებულების 2.5%, ან მიმწოდებელი უფლებამოსილია წარმოადგინოს შესაბამისი ოდენობის უპირობო გარანტია, რომლის საგარანტიო ვადის 2 (ორი) წლის გასვლის შემდეგ აღნიშნული თანხა დაუბრუნდება მიმწოდებელს (გარანტიის გამცემი ორგანიზაცია უნდა იყოს საქართველოში რეგისტრირებული ბანკი/სადაზღვევო კომპანია).

2.6.3. თუ დეფექტების აღმოფხვრის ხარჯისათვის საჭირო თანხა აღემატება დაკავებულ 2.5%-ს, შემსყიდველი დამატებით დააკისრებს მიმწოდებელს ზემოაღნიშნული განსხვავების გადახდას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2.7. ანგარიშსწორების პირობები:

2.7.1. ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად უნაღდო ანგარისწორებით ლარებში:

I. ეტაპი - წინასწარი ანგარიშწორება (არაუმეტეს ხელშეკრულების ღირებულების 40%-ს ოდენობით მიმწოდებლის სურვილის შესაბამისად);

II. ეტაპი - შუალედური გადახდა. ავანსად გაცემული თანხის დაკავება მოხდება პირველივე შესრულების თანავე.

III. ეტაპი - საბოლოო ანგარიშწორება;

2.7.2. მიმწოდებლის მოთხოვნის შესაბამისად, წინასწარი ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგი ფორმით: შემსყიდველის მიერ მოხდება მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების არაუმეტეს 40%–ის წინასწარ გადარიცხვა მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საავანსოდ გადასარიცხი თანხის იდენტური ოდენობის უპირობო საავანსო გარანტიის საფუძველზე (გარანტიის გამცემი ორგანიზაცია უნდა იყოს საქართველოში რეგისტრირებული ბანკი/სადაზღვევო კომპანია). აღნიშნული გარანტიის მოქმედების ვადა არანაკლებ 30 (ოცდაათი) დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების დასრულების ვადას. საავანსო გარანტიით გათვალისწინებულ თანხას, მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების არაუმეტეს 40%–ს შემსყიდევლი გადაიხდის უპირობო საავანსო გარანტიის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღეში.

2.7.3. შუალედური ანგარისშწორება (შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ) მოხდება, შუალედური მიღება-ჩაბარების აქტიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში. მიღება- ჩაბარების გასაფორმებლად, მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს შესრულებული სამუშაოების ამსახველი ანგარიში - ფორმა №2, ფარული სამუშაოების აქტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელსაც ხელშეკრულების შესრულების ფაქტობრივ მდგომარეობასთან შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში დაამოწმებს შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენელი, შესრულებული სამუშაოების ღირებულების შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2.7.4. საბოლოო ანგარისწორებას შემსყიდველი მოახდენს, მიმწოდებლის მიერ სამშენებლო სამუშაოების სრულად დამთავრების შემდეგ, მხოლოდ ფორმა №2–ის, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტირებული პირის მიერ გაცემული დასკვნის და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე 10 სამუშაო დღეში.

2.7.5. იმ შემთხვევაში, თუ არ გამოიყენება საავანსო ანგარიშსწორება, ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება შუალედური მიღება-ჩაბარების აქტების, ფორმა №2-ის და ფარული სამუშაოების აქტების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარდგენიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში, ხოლო დარჩენილი სახელშეკრულებო ღირებულების გადახდა მოხდება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტით, ფორმა №2–ით, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტირებული პირის მიერ, დასკნის წაროდგენიდან 10 სამუშაო დღეში.

2.7.6. იმ შემთხვევაში თუ, სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით, მიმწოდებელი არ წარმოადგენს სახელშეკრულებო ღირებულების 2,5%-ის ოდენობის უპირობო გარანტიას, შემსყიდველის მიერ საბოლოო ანგარიშსწორებისას დაკავებული იქნება სახელშეკრულებო ღირებულების 2,5%. საგარანტიო ვადის, 2 (ორი) წლის, გასვლის შემდეგ აღნიშნული თანხა დაუბრუნდება მიმწოდებელს.

2.7.7. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საავანსო თანხის გარანტიის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების შესრულების ვადას.

2.7.8. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ხარჯებს აანაზღაურებს შემსყიდველი.(მიმწოდებლის ბრალეულობით, ექსპერტიზის განმეორებით ჩატარების აუცილებლობის შემთხვევაში, ხარჯებს აანაზღაურებს მიმწოდებელი)

2.7.9. იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი, პრეტენდენტმა სისტემაში უნდა წარმოადგინოს ხელისმომწერი პირის ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა.

2.8. პრეტენდენტმა ტექნიკური დოკუმენტაციის სახით ერთიან ელექტრონულ სისტემაში უნდა ატვირთოს შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:

2.8.1. განფასებული სამუშაოს ხარჯთაღრიცხვა სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №2-ის მიხედვით;

2.8.2. სრულყოფილი ინფორმაცია სამუშაოების შესრულების საგარანტიო ვადებისა და პირობების შესახებ;

2.8.3. ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ;

2.8.4. მონაწილე პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს სამშენებლო/სარემონტო სამუშაოების წარმოების არანაკლებ ერთ წლიანი (2016 წ.) გამოცდილება, აღნიშნულის დასადასტურებლად მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს დამადასტურებელი ხელშეკრულებები და ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტები, რომელთა საერთო ღირებულება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 140 000 ლარს.

2.8.5. სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული მინდობილობა (საჭიროების შემთხვევაში).

2 დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირისაგან:

შ.პ.ს ,,მთის კურორტების განვითარების კომპანიის“

ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი :	დავით ჯაოშვილი	ტელ: +995 577327069
შესყიდვების სამსახურის უფროსი ექსპერტი:	ავთანდილ ქავთარაძე	ტელ: +995 551402001

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №------

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2017 წლის ---- ქ. თბილისში.

ერთი მხრივ, შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანია“ (შემდგომში – “შემსყიდველი”), წარმოდგენილი დირექტორის ალექსანდრე ონოფრიშვილის სახით, და მეორე მხრივ, შ.პ.ს ---------- (შემდგომში “მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის ---------- სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” (შემდგომში “ხელშეკრულება”) შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. “ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. “შემსყიდველი” - ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. “მიმწოდებელი”- ნიშნავს პირს, რომელმაც ახორციელებს მომსახურებას, კერძოდ სამუშაოებს სამუშაოს შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. „სამუშაო“– ნიშნავს, ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

1.6. “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. სამუშაოს შესრულების პირობები

2.1. სამუშაოს შესრულება ხორციელდება თანდართული პროექტის (იხ. დანართი №3), ხარჯთაღრიცხვისა (იხ.დანართი №2) მიხედვით (წინამდებარე დანართები წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მის პირობებთან ერთად).

2.2. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება საპროექტო დოკუმენტაციაში, ხარჯთაღრიცხვაში, შეიტანოს ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. დაბა ბაკურიანში, საბაგირო კაბინების სადგომის მშენებლობის სამუშაოები შესყიდვა, საპროექტო დოკუმენტაციის (დანართი №3), ხარჯთაღრიცხვის (დანართი №2) შესაბამისად.

3.2. **CPV- 45200000.**

4. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

4.1. ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება შეადგენს **: ---------- (----------) ლარი.**

4.2. ერთეულების ღირებულება განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით, წარმოდგენილი დანართი №2-ის სახით;

4.3. ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, დაკავშირებულს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურების გაწევასთან.

4.4. მხარეების მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორება ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში) ამ ხელშეკრულებაში მითითებულ მხარეების საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვით;

4.5. მიმწოდებელმა თანხის ავანსის სახით მიღების მიზნით შემსყიდველს უნდა წარუდგინოს შესაბამისი ოდენობის (ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არაუმეტეს 40%-ის) უპირობო და გამოუთხოვადი გარანტია (გარანტიის გამცემი ორგანიზაცია უნდა იყოს საქართველოში რეგისტრირებული ბანკი/სადაზღვევო კომპანია), რომელიც ძალაში უნდა იყოს წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად განსაზღვრული მომსახურების სრულად მიწოდებიდან და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის თარიღიდან დამატებით 30 დღის განმავლობაში. გარანტიაში ბენეფიციარად მითითებულ უნდა იქნას შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანია“ .

4.6. ხელშეკრულების 4.5. პუნქტში აღნიშნული ავანსის გარანტია ითვალისწინებს ბანკის/სადაზღვევოს უპირობო ვალდებულებას გარანტიის სრული ან მისი ნაწილი თანხის შემსყიდველისათვის პირველივე მოთხოვნისთანავე ანაზღაურებას.

4.7. ავანსით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა იწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის მიერ უპირობო გარანტიის წარმოდგენიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.8. შემსყიდველი საავანსო გარანტიას მიმწოდებელს უბრუნებს სამუშაოს სრულად შესრულებიდან და შესაბამისი (საბოლოო) მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

4.9. შემსყიდველი უფლებამოსილია გამოიყენოს 4.5. პუნქტში მითითებული ავანსის გარანტია იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულების პირობას, ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას.

4.10. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია აინაზღაუროს აუთვისებელი ავანსი საავანსო გარანტიიდან.

4.11. ანგარიშსწორება განხორციელდეს შემდეგნაირად:

4.11.1. მიმწოდებლის მიერ ავანსის მისაღებად შესაბამისი ოდენობის, (რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არაუმეტეს 40%-ს) უპირობო გარანტიის წარმოდგენიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.11.2. მხარეებს შორის შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.11.3. საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდეს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების და დადასტურებული მოცულობების მიხედვით, მიმწოდებლის მიერ სამშენებლო სამუშაოების სრულად დასრულების შემდეგ, ფორმა №2–ის, სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სხვა აკრედიტირებული პირის (რომლის მომსახურეობის ხარჯებს აანაზღაურებს შემსყიდველი) მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე მხარეებს შორის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში (მიმწოდებლის ბრალეულობით, ექსპერტიზის განმეორებით ჩატარების აუცილებლობის შემთხვევაში, ხარჯებს აანაზღაურებს მიმწოდებელი).

4.12. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ არ შეადგინა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასი, შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებლის მის მიერ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულებას ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთეული ფასების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს არ უნდა გააჩნდეს პრეტენზია სამუშაოთა აუთვისებელ მოცულობების შესრულებაზე და მის გადახდაზე.

4.13. შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა შეადგენს მხარეებს შორის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 2 (ორი) წელს, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს სწორი ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა.

4.14. საბოლოო ანგარიშსწორებისას ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 2.5% დაკავებული იქნება შემსყიდველის მიერ საგარანტიო ვადის 2 (ორი) წლის განმავლობაში (დარჩენილი თანხა აუნაზღაურდება მიმწოდებელს). საგარანტიო ვადის გასვლის შემდეგ დაკავებული თანხა დაუბრუნდება მიმწოდებელს. დასაშვებია მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი იქნას ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 2.5%-იანი გარანტია 2 (ორ) წლიანი საგარანტიო ვადის მოქმედებით (ამ შემთხვევაში თანხის დაკავება არ განხორციელდება).

4.15. თუ დეფექტების აღმოფხვრის ხარჯისათვის საჭირო თანხა აღემატება დაკავებულ 2.5%, შემსყიდველი დამატებით დააკისრებს მიმწოდებელს ზემოაღნიშნული განსხვავების გადახდას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. სამუშაოს შესაბამისობა და ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული შესასყიდი სამუშაოები უნდა შესრულდეს საპროექტო დოკუმენტაციის, ტექნიკური პირობების, მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების, მსგავსი სამუშაებისათვის უკვე არსებული სტანდარტებისა და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნების შესაბამისად.

5.2. ამ ხელშეკრულებაში აღნიშნული წესებიდან და ნორმებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს სამუშაოები ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

5.3. შემსყიდველი უფლებამოსილია, როგორც სამუშაოების მიმდინარეობისას, ასევე მათი დასრულების შემდგომ, ნებისმიერ დროს, განახორციელოს მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობების, ხარისხისა და ვადების კონტროლი, გარკვეულ შემთხვევებში იმ მომსახურებათა და მოწყობილობების კონტროლი, რომლებიც დაკავშირებულია სამუშაოთა შესრულებასთან.

5.4. სამუშაოების შესრულების მიმდინარეობის კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის მიერ შერჩეული შესაბამისი უფლებამოსილი წარმომადგენელი, შესაბამისი საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციისა და მოქმედი ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის საფუძველზე.

5.5. შემსყიდველს უფლება აქვს, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ნებისმიერ დროს, მოითხოვოს მიმწოდებლისაგან სამუშაოების შესრულების შესახებ ინფორმაცია.

6. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი.

6.1. სამუშაოს მიღება-ჩაბარება ხორციელდება შესაბამისად ამ ხელშეკრულების 8.1. პუნქტში აღნიშნულ ადგილზე.

6.2. შესრულებული სამუშაოების (შესყიდვის ობიექტი) მიღება-ჩაბარება (საბოლოო/შუალედური) ხორციელდება შემსყიდველის და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.

6.3. შესრულებული სამუშაოების შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის გასაფორმებლად (შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ) მიმწოდებელმა უნდა წარმოუდგინოს შემსყიდველს ფორმა N2, ფარული სამუშაოების აქტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დადასტურებული შემსყიდველის წარმომადგენლის მიერ.

6.4. შესრულებული სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გასაფორმებლად მიმწოდებელმა უნდა წარმოუდგინოს შემსყიდველს ფორმა N2, ფარული სამუშაოების აქტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დადასტურებული შემსყიდველის წარმომადგენლის მიერ. ამის შემდგომ შემსყიდველი უზრუნველყოფს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს, ან სხვა აკრედიტირებული პირის მიერ დასკვნის მომზადებას რის საფუძველზეც მოხდება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

6.5. მიღება-ჩაბარების (საბოლოო/შუალედური) აქტის ხელმოწერიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, ხოლო შემსყიდველი ვალდებულია ამ ხელშეკრულებით შეთანხმებულ ვადებში განახორციელოს შესრულებულ სამუშაოთა ანაზღაურება.

6.6. მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოები მიღებულად ჩაითვლება მხარეებს შორის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის და დამატებითი ღირებულების გადასახადის, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გაფორმების შემდეგ;

6.7. მიღება-ჩაბარების (საბოლოო/შუალედური) აქტი დგება სამ ეგზემპლიარად, რომელთაგან ორი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი მიმწოდებელს.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1. **მიმწოდებელი ვალდებულია:**

7.1.1. სამუშაოს შესრულების პროცესში იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულების მე-5 მუხლით გათვალისწინებული წესებითა და პირობებით, ხელშეკრულებაში მითითებული მოცულობით და ვადებში განახორციელოს პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები, ხარისხიანად და დროულად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად.

7.1.2. ხელშეკრულების გათვალისწინებული სამუშაოთა შესრულებისას იხელმძღვანელოს საპროექტო დოკუმენტაციის, ტექნიკური პირობების, წინამდებარე ხელშეკრულების პირობებისა და საქართველოს მოქმედი ყველა საჭირო სამშენებლო ნორმების, სტანდარტებისა და წესების მოთხოვნათა მიხედვით;

7.1.3. ხელშეკრულების შესასრულებლად გამოიყენოს საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებული ყველა აუცილებელი მასალა, დეტალები და მოწყობილობები, რომლებიც უნდა შეესაბამებოდნენ სამშენებლო სტანდარტებს და მაღალ ხარისხს. იყოს პასუხისმგებელი მათ მიღებაზე, შენახვასა და გამოყენებაზე;

7.1.4. შეასრულოს სამშენებლო სამუშაოები მშენებლობის უსაფრთხოების წესების მოთხოვნათა სრული დაცვით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და ნორმების გათვალისწინებით და აიღოს სრული პასუხისმგებლობა სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისას სამშენებლო მოედანზე უსაფრთხოების წესების მოთხოვნათა დარღვევით გამოწვეული ყველა შედეგისადმი.

7.1.5. წარუდგინოს “შემსყიდველს“ ზუსტი და სრული ინფორმაცია შესრულებული სამუშაოების შესახებ. ინფორმაციის ფორმას და პერიოდულობას განსაზღვრავს შემსყიდველი;

7.1.6. წარუდგინოს "შემსყიდველს" შესათანხმებლად მასალების და მოწყობილობების სპეციფიკაციები წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად;

7.1.7. ობიექტზე სამუშაოს შესრულების დროს დაიცვას ტექნიკური, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების და ეკოლოგიის დაცვის წესები.

7.1.8. მიიღოს და "შემსყიდველს" მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს ყველა აუცილებელი ლიცენზია და ნებართვა აგრეთვე სერთიფიკატები ყველა სამშენებლო მასალაზე, რომელიც გამოიყენება მოცემული ხელშეკრულების მიხედვით სამუშაოების შესრულებისას, თუკი ასეთ სერთიფიკატებს, ლიცენზიებს და ნებართვებს ითხოვს საქართველოს კანონმდებლობა.

7.1.9. გამოასწოროს ყველა დეფექტი, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს ან განვითარდეს სამუშაოებში, სამუშაოების წარმოების დაწყების ან შემოწმების დროს თავისი ხარჯებით. დეფექტ(ებ)ის გამოვლენის შემთხვევაში მხარეთა წარმომადგენლები შეადგენენ შესაბამის დეფექტურ აქტს, სადაც განისაზღვრება დეფექტი და მისი აღმოფხვრის გონივრული ვადა;

7.1.10. მიაწოდოს ზედამხედველს სამუშაოების მოცულობების, მასალების რაოდენობის და ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტები (საჭიროების შემთხვევაში);

7.1.11. მოთხოვნისთანავე მიაწოდოს ზედამხედველს ნებისმიერი მოთხოვნილი წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოებთან დაკავშირებული ინფორმაცია, მათ შორის ფინანსური ინფორმაცია;

7.1.12. საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტორების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

7.1.13. ამ ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული ავანსის თანხა გამოიყენოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ჩატარების მიზნით. წინააღმდეგ შემთხვევაში დამკვეთი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს წინასწარი ანგარიშსწორებით გადახდილი თანხის დაუყოვნებლივ დაბრუნება.

7.1.14. სამუშაოების შესრულებაში მონაწილე საინჟინრო-ტექნიკური პერსონალისა და მუშა-მოსამსახურეების შემადგენლობის 70 პროცენტი დააკომპლექტოს საქართველოს მოქალაქეებით;

7.1.15. სამშენებლო სამუშაოებისთვის გამოიყენოს მაღალი ხარისხის მასალა-მოწყობილობები და უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ ნორმებს, რაზეც შემსყიდველს უფლება აქვს, სურვილისამებრ მოითხოვოს საერთაშორისო სტანდარტის დამადასტურებელი სერთიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

7.1.16. სამუშაოების შესრულების პროცესში შეუთანხმოს შემსყიდველს გამოყენებული მასალებისა და მოწყობილობების ტიპი და ვიზუალურ-ტექნიკური მახასიათებლები (ხარისხი, ფაქტურა, ფერი და სხვა). იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მასალა ან მოწყობილობა ან შესრულებული სამუშაო არ შეესაბამება აღიარებულ სტანდარტებს და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს, მიმწოდებელი ვალდებულია თავისი ხარჯებით გამოასწოროს დაფიქსირებული ხარვეზი, წარმოადგინოს სხვა, შემსყიდველისთვის მისაღები მასალა, მოწყობილობა ან/და სხვაგვარად შეასრულოს სამუშაო;

7.1.17. შემსყიდველს უმოკლეს ვადაში აცნობოს მისი ორგანიზაციის მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;

7.2. **„მიმწოდებელს" უფლება აქვს:**

7.2.1. მოითხოვოს ჩატარებული სამუშაოების ანაზღაურება დროულად, ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად;

7.2.2. დროულად მიიღოს ინფორმაცია და ასევე სხვა საჭირო დოკუმენტები, რაც აუცილებელია წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს შესასრულებლად;

7.3. **შემსყიდველი ვალდებულია:**

7.3.1. აწარმოოს ინსპექტირება საამისოდ შერჩეულ პირთან ერთად სამუშაოს მიმდინარეობაზე, საპროექტო დოკუმენტაციის, წინამდებარე ხელშეკრულების პირობებისა და საქართველოს მოქმედი ყველა საჭირო სამშენებლო ნორმებს, სტანდარტებისა და წესების, კანონმდებლობის მოთხოვნათა მიხედვით;

7.3.2. უზრუნველყოს საჭირო სამშენებლო ნებართვების შეთანხმებას შესაბამის ორგანიზაციებთან.

7.3.3. უზრუნველყოს საბოლოო მიღება-ჩაბარებისას სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო"-ს ან სხვა აკრედიტირებული პირის მიერ გაცემული დასკვნის ხარჯის ანაზღაურება.

7.3.4. შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად.

7.4. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველის, მიმწოდებლისა და ხელშეკრულების ინსპექტირების მიზნით შერჩეული სხვა პირების მონაწილეობით (ასეთების არსებობის შემთხვევაში) ფორმდება შესაბამისი აქტი, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი ხელშეკრულების შეუსრულებლობის მიზეზები, რის შემდგომაც შემსყიდველის შეხედულებისამებრ შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტირების მექანიზმი. სამუშაოების უხარისხოდ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია თავისი სახსრებით უზრუნველყოს არასათანადოდ და უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების შედეგად არსებული ხარვეზის აღმოფხვრა გონივრულ ვადაში.

7.5. უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების დაფიქსირება ხდება შემსყიდველის და მიმწოდებლის მიერ შერჩეული წარმომადგენლების მიერ შედგენილ აქტში, რის შემდეგაც მიმწოდებელს არ აუნაზღაურდება დეფექტებით შესრულებული სამუშაოთა ღირებულება.

7.6. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან-შესრულებულ სამუშაოთა წარმოდგენილი მოცულობები, შემსყიდველის მიერ გადამოწმების შემთხვევაში არ შეესაბამება რეალობას, შემსყიდველი სათანადო აქტის შედგენის შემდეგ არ უნაზღაურდებს მას აღნიშნულ სამუშაოთა ღირებულებას.

8. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

8.1. სამშენებლო სამუშაოები უნდა განხორციელდეს დაბა ბაკურიანში.

8.2. წინამდებარე ხელშეკრულებით 3.1 პუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები მიმწოდებელმა უნდა დაიწყოს წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში და დაასრულოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 45 კალენდარულ დღეში.

8.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულების 8.3. მუხლით აღნიშნულ საბოლოო ვადამდე დაასრულოს სამუშაოები და მოითხოვოს შესრულებული სამუშაოების (შესყიდვის ობიექტი) საბოლოო მიღება-ჩაბარება ამ ხელშეკრულების დადგენილი პირობების შესაბამისად.

9. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

9.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების ინსპექტირებას, მათ შორის კონტრაქტით გათვალისწინებული ვადების მიმდინარეობის კონტროლს ახორციელებს შემსყიდველი (მის მიერ საამისოდ შერჩეული პირი).

9.2. ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს შესრულებული სამუშაოს ხარისხის ინსპექტირება.

9.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყობს თვით შემსყიდველი.

9.4. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების პირობების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობაზე. შესრულებული სამუშაოების ტექნიკური მონიტორინგი ევალება შემსყიდველი ორგანიზაციის ----------, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

9.5. სამუშაოების მიმდინარეობაზე შემსყიდველი აწარმოებს კონტროლს საქართველოში მოქმედი ყველა სამშენებლო ნორმების, სტანდარტების და წესების თანახმად, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია შეაჩეროს სამუშაოების მიმდინარეობა და განახორციელოს ამ ხელშეკრულებით და კანომდებლობით გათვალისწინებული სანქციები.

9.6. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

10. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის/ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული

პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულებისათვის ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

10.2. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით.

10.3. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

10.4. არაჯეროვნად შესრულებას წარმოადგენს უხარისხო მომსახურების გაწევა. ამასთან, არაჯეროვნად გაწეულად მიიჩნევა ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობა, რომელიც ნაკისრი აქვს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით, გარდა 10.5. და 10.6 პუნქტებით განსაზღვრული შემთხვევისა.

10.5. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი სამუშაოს დასრულების საბოლოო ვადას გადააცილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საბოლოო ვადას, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,25%-ის ოდენობით; იმ შემთხვევაში თუ ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა გადააჭარბებს 10 კალენდარულ დღეს შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს ვადაგადაცილებული დღეების ჯარიმასთან ერთად დამატებით დააკისროს პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 5%-ს ოდენობით. ვადაგადაცილების გამო შემყიდველისათვის ან მესამე პირზე მიყენებულ ყველანაირ ზიანზე პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

10.6. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.7. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით და წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

11.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს, ორი ეგზემპლარი შემსყიდველს).

11.3. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების თავდაპირველი ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია 10%–ზე მეტი ოდენობით.

11.4. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

11.5. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.

11.6. ხელშეკრულების შეწყვეტის გაფორმება ხდება შეთანხმების გზით, მაგრამ შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვს გამოიყენონ ხელშეკრულების ცალმხრივად (წერილობითი ფორმით) შეწყვეტის შესაძლებლობა.

11.7. შემსყიდველი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება, თუ:

11.7.1. მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს);

11.7.2. მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);

11.7.3. მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულებით ჯეროვან შესრულებაზე;

11.7.4. თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის მიერ მოწოდებული დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

11.7.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებების კანონმდებლობაში). დაუძლეველი ძალით გამოწვეულ

მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომლის წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

12.2. მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყონებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენების დადგომის თაობაზე. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარს ხელშეკრულების გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

12.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. უფლებების გადაცემა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.2. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავისი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14. ქვეკონტრაქტორები

14.1. მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა ქვე-კონტრაქტის შესახებ, თუ ეს უკვე არ არის მითითებული სატენდერო წინადადებაში.

14.2. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა ქვე-კონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

14.3. ქვე-კონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს შესასრულებელი სამუშაოების მთლიანი მოცულობის 40%.

14.4. მუშაობის პროცესში ქვე-კონტრატორის შეცვლა, ან დამატებითი ქვე-კონტრაქტორის აყვანა ასევე უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან. მიმწოდებელი ვალდებულია აცნობოს შემსყიდველს მოცულობის რა ნაწილი გადაეცემა ქვე-კონტრაქორს.

14.5. სამუშაოების ნაწილის ქვე-კონტრაქტორზე გადაცემით მიმწოდებელი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებიდან.

14.6. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად საჭირო ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის ნებისმიერი ცვლილებების შემთხვევაში დაუყონებლივ აცნობოს შემსყიდველს წერილობით სახით და აღნიშნული ცვლილებების საკითხი შეათანხმოს შემსყიდველს ორგანიზაციასთან.

15. შეტყობინება

15.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქტის სახით, ორიგინალის შემდგომ წარმოდგენით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

15.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

16.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

17. გამოყენებული სამართალი

17.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

18. ხელშეკრულების ენა

18.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 (სამი) ეგზემპლარად. ორი ეგზემპლიარი ინახება შემსყიდველთან ერთი ეგზემპლიარი მიმწოდებელთან.

19. გადასახადები და დაბეგვრა

19.1. ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ წინამდებარე ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

20. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

20.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

21. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

აფიდავიტი

სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

* ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

* უფლებამოსილი ვარ პრეტენენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;

* ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;

* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი «კონკურენტი» აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს,

რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში;

* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- სატენდერო წინადადების ფასი;
- სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
- სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
- ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის პირობებს;
- შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება;

* სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195^{1} მუხლის შესაბამისად.